

**სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა #5**

ქ. თბილისი

2016 წლის 28 ივნისი

სხდომას ესწრებოდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები: 1. შაბურიშვილი შოთა 2. თოდუა ნუგზარი 3. აბესაძე ნინო 4. თუთბერიძე ბექანი 5. მაჭავარიანი ლია 6. გეგეჭკორი არნოლდი 7. ხაჩიძე მანანა 8. ბექაური ბექა 9. ბახტურიძე პაატა 10. თუმანიშვილი გიორგი 11. თოდუა ნონა 12. კვირიკაშვილი ბახვა 13. კუპრაძე ირაკლი 14. წერეთელი მარი 15. შამილიშვილი მანანა 16. ლორთქიფანიძე ლევანი 17. საბაური შალვა 18. ჩახუნაშვილი ნინო 19. ლორია კახაბერი 20. გორდეზიანი ლევანი 21. გელოვანი ნანი 22. თაბუაშვილი აპოლონი 23. ბრაჭული ირაკლი 24. ოთხმეზური გიორგი 25. პაიჭაძე თამარი (დანართი 1)

სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრები: 1. თვალთვაძე დარეჯანი 2. მექვაბიშვილი ელგუჯა 3. მინდორაშვილი მარინე 4. ფურთუხია ომარი 5. ღვედაშვილი გიორგი 6. ოკრიბელაშვილი ნინო 7. ბელქანია ნოდარი 8. ბერძენიშვილი ამირანი 9. აბაშიძე თამარი 10. დავით გოცირიძე 11. აპოლონ სილაგაძე (დანართი 2)

დღის წესრიგი:

1. „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის „ბლუმბერგის (Bloomberg) საერთაშორისო სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიის“ შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 27 ივნისის #63/2016 დადგენილების დამტკიცება

2. „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევის წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 30 სექტემბრის #96/2014 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 24 ივნისის #62/2016 დადგენილების დამტკიცება

3. „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრთა არჩევის წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 18 ნოემბრის #127/2013 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 24 ივნისის #61/2016 დადგენილების დამტკიცება

4. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრთა რაოდენობის დადგენა

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად

წარმომადგენლობითმა საბჭომ სხდომის მდივნად ერთხმად აირჩია წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი ქალბატონი თამარ პაიჭაძე

1. “სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის „ბლუმბერგის (Bloomberg) საერთაშორისო სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიის” შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 27 ივნისის #63/2016 დადგენილების შესახებ საბჭოს წინაშე ისაუბრა ბატონმა ემზარ ჯგერენაიამ. მან ხაზი გასუვა აღნიშნული ლაბორატორიის შექმნის მნიშვნელობას და მას უნივერსიტეტისათვის უზარმაზარი საჩუქარი უწოდა. აღნიშნა, რომ ბლუმბერგის ლაბორატორიის მიზანია უნივერსიტეტში მიმდინარე შესაბამისი საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა, უნივერსიტეტში კვლევითი შესაძლებლობების გაფართოება, სტატისტიკური ბაზების გამოყენების, ფინანსურ ბაზრებზე მუშაობის რეალური და პრაქტიკული გამოცდილების შესაძლებლობის მიცემა სტუდენტებისა და მკვლევარებისათვის და სხვა.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკრემა კახაბერ ლორიამ, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა ნონა თოდუამ და ნუგზარ თოდუამ. ზოგადად აღნიშნული ლაბორატორიის შექმნა დადებითად იქნა შეფასებული.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 25

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს “სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის „ბლუმბერგის (Bloomberg) საერთაშორისო სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიის” შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 27 ივნისის #63/2016 დადგენილება (დანართი 3)

2. იურიდიული დეპარტამენტის უფროსის არჩილ კუკულავას მიერ დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევის წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 30 სექტემბრის #96/2014 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 24 ივნისის #62/2016 დადგენილება. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ცვლილებები განპირობებულია კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებით და მასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 25

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევის წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 30 სექტემბრის #96/2014 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 24 ივნისის #62/2016 დადგენილება (დანართი 4)

(კენჭისყრის შემდეგ დარბაზი საპატიო მიზეზით დატოვა წარმომადგენლობითი საბჭოს ორმა წევრმა და მე-3 საკითხის განხილვა გაგრძელდა საბჭოს 23 წევრის მონაწილეობით).

3. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევის წესის ცვლილებების დამტკიცება (მომხსენებელი: კახაბერ ლორია, არჩილ კუკულავა)

აღნიშნა, რომ დასამტკიცებლად წარმოდგენილია „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრთა არჩევის წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 18 ნოემბრის #127/2013 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 24 ივნისის #61/2016 დადგენილება. იურიდიული დეპარტამენტის უფროსის არჩილ კუკულავას განცხადებით ცვლილებები გამომდინარეობს კანონიდან და არის ასევე ტექნიკური ხასიათის ცვლილებებიც.

საკითხის ირგვლივ გაიმართა მსჯელობა, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის, სტუდენტ შალვა საბაურის მხრიდან დაისვა საკითხი, რომ შესაცვლელია ზოგადად არსებული წესი და რომ ამომრჩეველს უნდა ქონდეს არა ერთი ხმა, არამედ იმდენი, რამდენი ადგილიცაა ანუ უნდა მოქმედებდეს იგივე წესი, როგორც აკადემიური საბჭოს არჩევისას. თუმცა აქვე აღნიშნა, რომ ეს წესი ამ ფორმით შეიცვალოს არა პროფესურის, არამედ მხოლოდ სტუდენტების არჩევის შემთხვევაში. აღნიშნული პოზიცია გაზიარებული იქნა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრ, სხვა სტუდენტების მიერ (ბახვა კვირიკაშვილი, ბახტურიძე პაატა). განსხვავებული პოზიცია დაფიქსირდა იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტის, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის ირაკლი კუპრამის მიერ, კერძოდ, ის დაეთანხმა არსებულ წესს და აღნიშნა, რომ იგი უნდა დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა ლევან გორდეზინმა ასევე დააფიქსირა პოზიცია, არსებული წესის ძალაში დატოვების მიზანშეწონილობის შესახებ, რადგან ესენი არიან დამატებით ასარჩევი წევრები და არ იქნებოდა სწორი თუ სენატის უკვე არჩეული და მომავალში ასარჩევი წევრები განსხვავებული წესით აირჩევიან. ასავე აღნიშნა, რომ

უმჯობესია თავად აკადემიური საბჭოს არჩევის წესის შეცვლა, წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევის წესის მსგავსად.

საკითხის ირგვლივ გაიმართა ფართო დისკუსია და სენატის სპიკერმა კახაბერ ლორიამ, აღნიშნა, რომ ვინაიდან ორივე წესი სამართლიანი და დემოკრატიულია, უპრიანია საკითხი გადაწყდეს კენჭისყრის გზით.

კენჭისყრაზე დაისვა „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრთა არჩევის წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 18 ნოემბრის #127/2013 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 24 ივნისის #61/2016 დადგენილების დამტკიცება წარმოდგენილი სახით.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 17

წინააღმდეგი: 6

მიღებული გადაწყვეტილება: არ დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრთა არჩევის წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 18 ნოემბრის #127/2013 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 24 ივნისის #61/2016 დადგენილება.

ეთხოვოს აკადემიურ საბჭოს საკითხის ხელახლა განხილვა სენატის წევრთა მიერ გამოთქმული ზემოთაღნიშნული მოსაზრებების გათვალისწინებით.

4. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა, ბატონმა კახაბერ ლორიამ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა რაოდენობის დადგენასთან დაკავშირებით „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში და თსუ წესდებაში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე. აღნიშნა, რომ აუცილებელი გახდა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა რაოდენობის გაზრდა, რომლის მინიმალური რაოდენობა არ შეიძლება იყოს ნაკლები აკადემიური საბჭოს წევრთა ორმაგ რაოდენობაზე. სპიკერმა სენატს შესთავაზა საერთო რაოდენობის გაზრდა 76 წევრამდე, აქედან, როგორც კანონმდებლობა მოითხოვს, 1/3 ანუ 26 წევრი (სტუდენტების სასარგებლოდ დამრგვალებით) იქნება სტუდენტი, 1 (ერთი) თსუ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, 1 (ერთი) თსუ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი და ასევე დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის 1 (ერთი) წარმომადგენელი ყოველი ასეთი ერთეულიდან, 32 ადგილი დაეთმობა აკადემიურ პერსონალს. რაც შეეხება ფაკულტეტების წარმომადგენლობით კვოტებს, აუცილებელია ადგილები გადანაწილდეს პროპორციულად. უნივერსიტეტის სასწავლო

პროცესისი მართვისა და პერსონალის მართვის დეპარტამენტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე (დანართი 5, დანართი 6) ამ შემთხვევაში, ფაკულტეტების მიხედვით დადგინდება კვოტები შემდეგი პროპორციით:

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი: აკადემიური პერსონალი - 4, სტუდენტი - 7; ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი: აკადემიური პერსონალი - 7; სტუდენტი - 4; იურიდიული ფაკულტეტი: აკადემიური პერსონალი - 4 , სტუდენტი - 4; მედიცინის ფაკულტეტი: აკადემიური პერსონალი - 4; სტუდენტი - 1; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი: აკადემიური პერსონალი - 3, სტუდენტი - 3; ფსიქოლოგიის ფაკულტეტი: აკადემიური პერსონალი - 2, სტუდენტი -2; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი: აკადემიური პერსონალი - 8, სტუდენტი - 5;

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო დარბაზში იმ მომენტისათვის დარჩენილმა წარმომადგენლობითი საბჭოს 22 წევრმა:

მომხრე: 22

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: ამა წლის 1 ივლისიდან გაიზარდოს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობა და იგი განისაზღვროს 76 წევრით: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი: აკადემიური პერსონალი - 4, სტუდენტი - 7; ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი: აკადემიური პერსონალი - 7; სტუდენტი - 4; იურიდიული ფაკულტეტი: აკადემიური პერსონალი - 4 , სტუდენტი - 4; მედიცინის ფაკულტეტი: აკადემიური პერსონალი - 4; სტუდენტი - 1; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი: აკადემიური პერსონალი - 3, სტუდენტი - 3; ფსიქოლოგიის ფაკულტეტი: აკადემიური პერსონალი - 2, სტუდენტი -2; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი: აკადემიური პერსონალი - 8, სტუდენტი - 5; თსუ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი -1, თსუ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი - 1, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ერთი წარმომადგენელი ყოველი ასეთი ერთეულიდან.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი

კახაბერ ლორია

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის მდივანი

თამარ პაიჭაძე


სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმონადგენლობითი საბჭოს სხდომა

2016 წლის 28 ივნისი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

- შაბურიშვილი შოთა
- თოდუა ნუგზარი
- აბესაძე ნინო
- ბარბაქაძე ხათუნა



სტუდენტები:

- სოსიაშვილი თათია
- გოდერძიშვილი ლია
- ბერუაშვილი ანზორი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- გოგინავა უშანგი
- ხომერიკი რამაზი

• თუთბერიძე ზეჯანი

• მაჭავარიანი ლია

• გეგეჭკორი არნოლდი

• ხაჩიძე მანანა

Handwritten signatures in blue ink corresponding to the list items above.

სტუდენტები:

• ბეჟაური ზეჟა

• ზახტურიძე შაატა

Handwritten signatures in blue ink corresponding to the student list items above.

იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორები:

• თუმანიშვილი გიორგი

• ცისკაძე მარიამი

• თოდუა ნონა

Handwritten signatures in blue ink corresponding to the professor list items above.

სტუდენტები:

• კვირიკაშვილი ზახვა

• კუპრაძე ირაკლი

Handwritten signatures in blue ink corresponding to the student list items above.

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

- მარგველაშვილი ვლადიმერი

სტუდენტები:

- გიორგაძე გიორგი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- წერეთელი მარი



- შამილიშვილი მანანა



სტუდენტები:

- ლორთქიფანიძე ლევანი



- საბაური შალვა

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- ქვანია ირინე

- ჩახუნაშვილი ნინო



სტუდენტები:

- დადეშქელიანი ბექა

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- ლორია კახაბერი



- გორდეზიანი ლევანი
- გელოვანი ნანი
- თაბუაშვილი აპოლონი
- ბრაჭული ირაკლი
- ოთხმეზური გიორგი
- პაჭაძე თამარი

Handwritten notes and signatures in blue ink, including the name "D. Gelovani" and other illegible scribbles.

სტუდენტები:









- ჯეზაშვილი ნანა
- მინდიაშვილი თეონა
- სამხარაძე ლაშა

თსუ-ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

- გაიპარაშვილი ზურაბი

დანართი 2

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრების სია
2016 წლის 28 ივნისი

- დარეჯან თვალთვაძე 
- მექვაბიშვილი ელგუჯა 
- მინდორაშვილი მარინე *მ. მინდორაშვილი*
- ფურთუხია ომარი 
- ღვედაშვილი გიორგი 
- ხარშილაძე ირმა
- ქურდაძე ირინე
- იმნაძე პაატა
- ოკრიბელაშვილი ნინო *ნ. ოკრიბელაშვილი*
- ბელქანია ნოდარი 
- ზერძენიშვილი ამირანი 
- აბაშიძე თამარი *ა. აბაშიძე*
- სანაძე რუსუდანი
- გოცირიძე დავითი 
- სილაგაძე აპოლონი 

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს
და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

#63/2016

27 ივნისი 2016

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის “ბლუმბერგის (Bloomberg) საერთაშორისო
სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიის” შექმნისა და დებულების დამტკიცების
შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის “უ“ და „დ“ ქვეპუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ და „წ“ ქვეპუნქტებისა და თსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის 20.06.2016, №20616/02 წერილის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეიქმნას სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეული - “ბლუმბერგის (Bloomberg) საერთაშორისო სასწავლო-კვლევითი ლაბორატორია”.
2. დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - “ბლუმბერგის

(Bloomberg) საერთაშორისო სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიის” დებულება (დანართი №1).

3. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

4. დადგენილების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

5. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).

6. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროფესორი დარეჯან თვალთვაძე
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

**სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის “ბლუმბერგის (Bloomberg) საერთაშორისო
სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიის” დებულება**

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) “ბლუმბერგის (Bloomberg) საერთაშორისო სასწავლო-კვლევითი ლაბორატორია” (შემდგომში - „ბლუმბერგის ლაბორატორია“) წარმოადგენს უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულს.
2. ბლუმბერგის ლაბორატორია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით.
3. ბლუმბერგის ლაბორატორია თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე.

მუხლი 2. ბლუმბერგის ლაბორატორიის მიზანი და უფლებამოსილებები

1. ბლუმბერგის ლაბორატორიის მიზანია:
 - ა) უნივერსიტეტში მიმდინარე შესაბამისი საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა;
 - ბ) უნივერსიტეტში კვლევითი შესაძლებლობების გაფართოება;
 - გ) დერივატივების ბაზარზე ტექნიკური ანალიზის გამოყენებისას შესაბამისი ამოცანების ამოხსნისათვის საჭირო ბაზრების შექმნა, ასევე საერთაშორისო სავალუტო, საფინანსო და სასაქონლო ბაზრების მონიტორინგი და რეალური ოპერაციების განხორციელება;
 - დ) ოფციონებისა და სხვა დერივატივების ბაზარზე იურიდიულ ხელშეკრულებებზე მუშაობის შესაძლებლობა სტუდენტებისა და მკვლევართათვის, როგორც ვირტუალურ, ასევე რეალურ სეგმენტში;
 - ე) რეალური და ვირტუალური ოპერაციების შესრულების შესაძლებლობა, როგორც სპოტ ასევე ფიუჩერსულ ფინანსურ ბაზრებზე სტუდენტებისა და მკვლევარებისათვის;
 - ვ) სტატისტიკური ბაზრების გამოყენების შესაძლებლობა სტუდენტებისა და მკვლევარებისათვის;
 - ზ) ბლუმბერგის პროფესიულ პროგრამაზე წვდომის შესაძლებლობა სტუდენტებისა და მკვლევარებისათვის;
 - თ) ფინანსურ ბაზრებზე მუშაობის რეალური და პრაქტიკული გამოცდილების მიცემა სტუდენტებისთვის.
2. ბლუმბერგის ლაბორატორიის უფლებამოსილებებია:
 - ა) Bloomberg Finance L.P. -სა და უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ბლუმბერგის პროდუქციის მიღება;
 - ბ) უნივერსიტეტისა და სხვა სასწავლო დაწესებულებების სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის ბლუმბერგის ტერმინალის ექსპლუატაციის უფლების მიცემა;
 - გ) Bloomberg Finance L.P. -ის ლონდონის ოფისთან ურთიერთობის წარმართვა;

დ) უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული წესით სასწავლო პროცესში მონაწილეობა.

მუხლი 3. ბლუმბერგის ლაბორატორიის სტრუქტურა და პერსონალი

1. ბლუმბერგის ლაბორატორია უნიფიცირებული ერთეულია და არ შეიცავს სტრუქტურულ ერთეულებს. ბლუმბერგის ლაბორატორიისათვის უნივერსიტეტის სამტატო განრიგით განსაზღვრული თანამდებობებია – ბლუმბერგის ლაბორატორიის ხელმძღვანელი და უფროსი სპეციალისტი.

2. ბლუმბერგის ლაბორატორიის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

3. ბლუმბერგის ლაბორატორიის სხვა თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ბლუმბერგის ლაბორატორიის ხელმძღვანელის წარდგინებით.

მუხლი 4. ბლუმბერგის ლაბორატორიის ხელმძღვანელი

1. ბლუმბერგის ლაბორატორიის ხელმძღვანელი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს ბლუმბერგის ლაბორატორიის მუშაობას;

ბ) პასუხისმგებელია ბლუმბერგის ლაბორატორიის საქმიანობის განხორციელებაზე;

გ) ანაწილებს მოვალეობებს პერსონალს შორის, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;

დ) ზედამხედველობს თანამშრომლების მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვან შესრულებას, ახორციელებს მათ მიერ უნივერსიტეტის შინაგანაწესის შესრულების კონტროლს;

ე) ორგანიზებას უწევს წინამდებარე დებულებით ბლუმბერგის ლაბორატორიისთვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას, რისთვისაც უნივერსიტეტის რექტორსა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის მიზნით;

ვ) ახორციელებს ამ დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. ბლუმბერგის ლაბორატორიის ხელმძღვანელის დროებით არყოფნის (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა, დროებით - 2 დღეზე მეტი ვადით არყოფნა), მის მოვალეობას ასრულებს ბლუმბერგის ლაბორატორიის ერთ-ერთი თანამშრომელი, ბლუმბერგის ლაბორატორიის უფროსის დავალების საფუძველზე, რექტორის ბრძანებით.

მუხლი 5. ბლუმბერგის ლაბორატორიის ქონება

თავის ფუნქციათა განსახორციელებლად ბლუმბერგის ლაბორატორია სარგებლობს უნივერსიტეტის უძრავი და მოძრავი ქონებით.

მუხლი 6. ბლუმბერგის ლაბორატორიის ფინანსები

1. ბლუმბერგის ლაბორატორიის დაფინანსების წყაროებია:

ა) ლაბორატორიის ფუნქციონირების პირველი 1 წლის განმავლობაში უნივერსიტეტის ბიუჯეტით, ლაბორატორიის პერსონალის შრომის ანაზღაურებისათვის გამოყოფილი მიზნობრივი დაფინანსება;

ბ) გრანტების, პროექტების და შემოწირობების საფუძველზე მიღებული შემოსავლები;

გ) ხელშეკრულების შესრულებით მიღებული შემოსავალი;

დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიზნობრივად ბლუმბერგის ლაბორატორიისთვის განკუთვნილი საჩუქრის სახით მიღებული შემოსავლები;

ე) კანონმდებლობით აუკრძალავი ნებისმიერი შემოსავალი.

2. ბლუმბერგის ლაბორატორიის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული შემოსავლები უპირველეს ყოვლისა უნდა მოხმარდეს ბლუმბერგის ლაბორატორიის მიმდინარე ხარჯების დაფარვას.

მუხლი 7. ბლუმბერგის ლაბორატორიის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

ბლუმბერგის ლაბორატორიის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს
და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა**

#62/2016

24.06.2016

**„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევის წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 30
სექტემბრის №96/2014 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 57-ე მუხლისა და 63-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „წ“ ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და თსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის 20.06.2016, №20472/02 წერილის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს შემდეგი ცვლილებები „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევის წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 30 სექტემბრის №96/2016 დადგენილებაში და დადგენილების დანართი №1-ით დამტკიცებულ „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევის წესი“-ს:

ა) პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. რექტორის სამართლებრივი აქტი აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების შესახებ უნდა იყოს ყველასათვის ხელმისაწვდომი და საჯარო გაცნობის მიზნით ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.“

ბ) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საარჩევნო კომისია შედგება არანაკლებ 7 წევრისაგან. საარჩევნო კომისიის წევრთა შემადგენლობა განისაზღვრება რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.“

გ) მე-2 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. საარჩევნო კომისია არჩევნებთან დაკავშირებული ღონისძიებების სრულყოფილად ორგანიზების მიზნით უფლებამოსილია შექმნას შესაბამისი საარჩევნო ქვეკომისიები.“

დ) მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. არჩევნების ჩატარება

1. აკადემიური საბჭოს წევრები პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით აირჩევიან:

ა) ფაკულტეტის წარმომადგენელი აკადემიური საბჭოს წევრები - ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრისა და ფაკულტეტის საბჭოს წევრ სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლების მიერ;

ბ) დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარმომადგენლები - დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო პერსონალის ყველა წევრის მიერ.

2. ფაკულტეტის წარმომადგენელი აკადემიური საბჭოს წევრების არჩევნებში ხმის უფლების მქონე სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს წევრ სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლების სახით, არანაკლებ საბჭოს შემადგენლობის 1/4-ით. დამრგვალება ხდება სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა სასარგებლოდ.

3. აკადემიურ საბჭოში თითოეული:

ა) ფაკულტეტიდან აირჩევა 3 წარმომადგენელი. არჩეულად ითვლება კენჭისყრის მიხედვით საუკეთესო შედეგის მქონე შესაბამისი რაოდენობის კანდიდატები/კანდიდატი;

ბ) დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულიდან 1 წარმომადგენელი. არჩეულად ითვლება კენჭისყრის მიხედვით საუკეთესო შედეგის მქონე შესაბამისი რაოდენობის კანდიდატები/კანდიდატი.

4. იმ შემთხვევაში თუ კენჭისყრაში მონაწილე კანდიდატებმა მიიღეს ხმების თანაბარი ოდენობა და ვერ ხერხდება გამარჯვებულის გამოვლენა, ტარდება განმეორებითი კენჭისყრა

თანაბარი ხმების მქონე კანდიდატებს შორის ამ წესით დადგენილი პროცედურების დაცვით. განმეორებითი კენჭისყრა ტარდება არა უგვიანეს 5 დღის ვადაში და მისი ჩატარების ზუსტ დროსა და ადგილს განსაზღვრავს საარჩევნო კომისია.

5. აკადემიური საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ვაკანტურ ადგილზე შესაძლებელია ჩატარდეს არჩევნები. ვაკანტურ ადგილზე პირი აირჩევა აკადემიური საბჭოს უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრის დარჩენილი უფლებამოსილების ვადით.

6. აკადემიურ საბჭოში ვადამდე უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრის ნაცვლად არჩეული წევრის უფლებამოსილების ვადის განსაზღვრის აუცილებლობის შემთხვევაში, ტარდება წილისყრა. წილისყრას ატარებს საარჩევნო კომისია აკადემიური საბჭოს დადგენილი წესის შესაბამისად.

7. აკადემიურ საბჭოში არჩეულად ითვლება საუკეთესო შედეგის მქონე იმდენი კანდიდატი, რამდენ ვაკანტურ ადგილზეც ტარდება არჩევნები.

8. აკადემიური საბჭოს წევრად აირჩევა:

ა) ფაკულტეტის წარმომადგენელი აკადემიური საბჭოს წევრი - პროფესორი ან/და ასოცირებული პროფესორი;

ბ) დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულიდან დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარმომადგენელი.

9. აკადემიური საბჭოს წევრად პირი შესაძლებელია აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. აკადემიური საბჭოს წევრის არჩევის ვადა განისაზღვრება 4 წლით.“

ე) მე-6 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. წინასაარჩევნო აგიტაციამ და კამპანიამ არ უნდა შეუშალოს ხელი უნივერსიტეტში მიმდინარე საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროცესს.“

ვ) მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7. საარჩევნო სიები

პერსონალის მართვის, სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის, შესაბამისი ფაკულტეტისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარდგინების საფუძველზე საარჩევნო სიებს ამტკიცებს საარჩევნო კომისია.“

ზ) მე-8 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს 5 დღის განმავლობაში. რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში კანდიდატი უფლებამოსილია ხარვეზი გამოასწოროს 1 დღის განმავლობაში.“

თ) მე-9 მუხლის:

თ.ა) მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) შესაბამისი ფაკულტეტის, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სახელწოდება;“.

თ.ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ 4. საარჩევნო ბიულეტენი გაიცემა ამომრჩეველზე მხოლოდ შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში.“

თ.გ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. კენჭისყრის დღეს ფაკულტეტის ამომრჩეველი საარჩევნო კომისიის რეგისტრატორისგან იღებს შესაბამის საარჩევნო ბიულეტენს, რასაც ადასტურებს ამომრჩეველთა სიაში მისი გვარის გასწვრივ ხელმოწერით. ამის შემდეგ ამომრჩეველი მიდის ხელმომწერ კომისიის წევრთან, რომელიც საარჩევნო ბიულეტენის შესაბამის გრაფაში აწერს ხელს. შემდეგ ამომრჩეველი შედის სპეციალურად მოწყობილ საარჩევნო კაბინაში და მას შემდეგ, რაც წრიულად შემოხაზავს მისთვის სასურველ არა უმეტეს იმდენ კანდიდატს, რამდენი პირიც არის ასარჩევი, აგდებს საარჩევნო ბიულეტენს საარჩევნო ყუთში. კაბინად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე ნებისმიერი განცალკევებული ადგილი, სადაც ხმის მიცემის ფარულობა დაცული იქნება.“

ი) მე-10 მუხლის:

ი.ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. კენჭისყრის დასრულების შემდეგ საარჩევნო კომისიის წევრები ითვლიან საარჩევნო სიებში ხელმოწერების მიხედვით არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობას ცალ-ცალკე ფაკულტეტებისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების მიხედვით, რაც ფიქსირდება შესაბამის შემაჯამებელ ოქმში, რომელშიც აისახება არჩევნებში მონაწილე ყველა კანდიდატის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა.“

ი.ბ) მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ფაკულტეტისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების ამომრჩეველთა რაოდენობა სიების მიხედვით;“.

კ) მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) იმ ფაკულტეტისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ამომრჩეველი, სადაც ითხოვს დამკვირვებლად მონაწილეობას.“

ლ) მე-12 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 12. დარღვევის ოქმი

არჩევნების დღეს ამ დადგენილებით განსაზღვრული წესის დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში კანდიდატი, დამკვირვებელი, საარჩევნო კომისიის წევრი, შესაბამისი ფაკულტეტის ან დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ამომრჩეველი უფლებამოსილია შეადგინოს დარღვევის ოქმი, რომელშიც მიეთითება:

ა) ოქმის შემდგენი პირის სახელი, გვარი, მისამართი;

ბ) ოქმის შემდგენი პირის სტატუსი;

გ) დარღვევის შინაარსი;

დ) დარღვევის დაფიქსირების დრო;

ე) საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერა ან აღნიშვნა მის ხელმოწერაზე უარის თქმის შესახებ;

ვ) ოქმის შემდგენი პირის მოთხოვნა;

ზ) ოქმის შემდგენი პირის ხელმოწერა.“

მ) მე-13 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 13. არჩევნების შედეგების გამოცხადება

არჩევნების შედეგები ცხადდება არჩევნების დღეს, არა უგვიანეს 23:00 საათისა. საარჩევნო კომისია ვალდებულია ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას გამოაკრას არჩევნების შედეგების აქტი.“

ნ) მე-14 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან 24 საათის განმავლობაში კანდიდატს, დამკვირვებელს, ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის წევრს, შესაბამისი ფაკულტეტის ან დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ამომრჩეველს უფლება აქვს შეიტანოს საჩივარი საარჩევნო კომისიაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ საჩივარი არ მიიღება.“

ო) მე-15 მუხლის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-16 მუხლი:

„მუხლი 16. დასკვნითი დებულებანი

აკადემიურ საბჭოში ფაკულტეტის წარმომადგენლების რაოდენობის ზრდის შემთხვევაში, აკადემიური საბჭოს წევრები აირჩევიან მოქმედი აკადემიური საბჭოს უფლებამოსილების

ვადით - შესაბამისად აკადემიური საბჭოს წევრთა ერთი მესამედისა და ორი მესამედისათვის განსაზღვრული ვადებით, რაც დგინდება ახლადარჩეულ წევრთა შორის წილისყრით.“

2. წინამდებარე დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს თსუ-ს კანცელარიას.
4. დადგენილების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს თსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
5. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
6. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროფესორი დარეჯან თვალთვაძე
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

დანართი 5

N	ფაკულტეტი	სტუდენტების* რაოდენობა		ჯამი
		აქტიური	შერეობული	
1.	ეკონომიკისა და ბიზნესის	4994	2246	7240
2.	ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა	3075	1307	4382
3.	იურიდიული	3437	1136	4573
4.	მედიცინის	1241	288	1529
5.	სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა	2628	1009	3637
6.	ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა	1203	469	1672
7.	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	4030	1792	5822
	სულ	20608	8247	28855

*საფეხური: ქართულ ენაში მომზადების პროგრამა, ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა.

ინფორმაცია აკადემიური პერსონალის შესახებ 2016 წლის 20 ივნისის მდგომარეობით

№	აკადემიური პერსონალის (პროფესორი; ასოცირებული პროფესორი; ასისტენტი-პროფესორი; ასისტენტი) სამსახურის რიცხოვნობა	სამსახურის რიცხოვნობა	№	ფაქტობრივად დაკავებული აკადემიური თანამდებობები (დასაქმებულია რიცხოვნობა)	ფაქტობრივად დაკავებული
	ფაკულტეტი			ფაკულტეტი	
1	ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა	172	1	ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა	157
2	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	194	2	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	187
3	სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა	80	3	სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა	64
4	ეკონომიკისა და ბიზნისის	105	4	ეკონომიკისა და ბიზნისის	102
5	იურიდიული	107	5	იურიდიული	88
6	მედიცინის	93	6	მედიცინის	89
7	ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა	56	7	ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა	39
8	სულ	807	8	სულ	726

თანხა 6